თბილისის არქიტექტურა

# ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №1190697

განაცხადი №AR1207489

თარიღი : 27.03.2014

განმცხადებელი: ვეფხვია დვალი პ/ნ: 38001004585

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ, (ნაკვ.7/3) ; ქალაქი თბილისი , თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი , გზის მიმდებარედ (ნაკვ. 05/001) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , (ნაკვ. 07/010) ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 6 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 4 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 2 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N2 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N3 / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი , გზატკეცილი N1 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004)/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 05/005);

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

კომისიის წევრი: უარყოფა

- არ არის მისაღები. წარმოდგენილი კონცეფციიდან გამომდინარე, თავისი მასშტაბურობით პროექტი პირველ ეტაპზე საჭიროებს ქალაქგეგმარებითი და ტექნიკურ–ეკონომიკური კუთხით კვლევა–დასაბუთებას, ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს ტერიტორიის სწორად შერჩევა ქალაქგეგმარებითი კუთხით შედარებითი კვლევა-ანალიზის საფუძველზე. დღეს თბილისს გააჩნია პოტენციალი ალტერნატიული ტერიტორიებისა მსგავსი პროექტების განსახორციელებლად დასაბუთებული მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში. მაგალითად: 1. რკინიგზის გადატანით ქალაქის ცენტრში გამონთავისუფლდება დაახლოებით 80 ჰექტარი ტერიტორია, რაც იძლევა ახალი სიტი–ს, სასტუმრო კომპლექსისა და ბიზნესცენტრის დაგეგმარების საშუალებას ჯანსაღი ინფრასტრუქტურით, რომელიც უმტკივნეულოდ გახდება ქალაქის ორგანიზმის სრულყოფილი ნაწილი და სტიმულს მისცემს მიმდებარე ტერიტორიების განვითარებას. 2. ასევე შესაძლებელია შეირჩეს ჩუღურეთის რაიონში ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე (არსენალის მთა) ფერდობზე არსებული ყოფილი არსენალის ტერიტორია ანალოგიური იდეის „პანორამული ხედებით თბილისზე" განხორციელება, საიდანაც საინტერესო ხედები იხსნება ისტორიული თბილისის პანორამით. გარდა ამ უპირატესობისა, აღნიშნულ ტერიტორიას გააჩნია პერსპექტივა შემდგომი განვითარებისა თბილისის ზღვის მხარეს ბუნებრივი სარეკრეაციო სივრცისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

მოსაწყობად. არანაკლებ საინტერესოა ამ მიმართულებით თბილისის ზღვის მიმდებარედ უკვე აქტიურად განვითარებადი სარეკრეაციო სივრცე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და დღეს მოქმედი კანონმდებლობიდან (ქ. თბილისის ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13, მუხლი #8, #9) გამომდინარე ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნით მიეცეს რეკომენდაციები წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ შემდგომი განხილვისათვის. წარმოსადგენია კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის, რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) პირველ ეტაპზე ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, მათ შორის საპროექტო კონცეფციის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და დაგეგმარების მიზანშეწონილობას, მოთხოვნილების აუცილებლობისა და შერჩეული ტერიტორიის უპირატესობის დასაბუთება–ანალიზს ქალაქგეგმარებით ანალიტიკურ და სამეცნიერო მასალებს. აღნიშნული ქალაქგეგმარებითი კვლევა–დასაბუთების შედეგად, შერჩეული ტერიტორიისათვის წარმოსადგენია არსებული და პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მდგომარეობის კვლევა – ანალიზი შემდეგი შემადგენლობით: ბ) საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო სურათი არსებული მდგომარეობით და ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველ ფოტოები სხვა და სხვა მხრიდან. გ) საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური რუკა. დ) საპროექტო ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური და სეისმური მონაცემები. ე) საპროექტო ტერიტორიის ზოგადი კლიმატური (ბუნებრივი ნალექების, ქარის, მზის გამოსხივების) მონაცემები. ვ) საპროექტო ტერიტორიის არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები. ზ) საპროექტო ტერიტორიის ისტორიული კვლევა. თ) საპროექტო ტერიტორიის ეკოლოგიური და გამწვანების მონაცემები. ი) საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საინჟინრო ინფრასტრუქტურა და მოსალოდნელი ცვლილებები ქალაქის ქსელებზე დატვირთვის გაზრდასთან დაკავშირებით. კ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ძირითადი გამჭოლი გზებისა და ქუჩების ქსელი, ტრანსპორტის ანგარიშები და მოსალოდნელი დატვირთვები ქალაქთან დამაკავშირებელ სატრანსპორტო არტერიებზე და კვანძებზე. ლ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მონაცემები. აღნიშნული მასალის წარმოდგენის შემდგომ, საბჭოს მიეცემა საშუალება იმსჯელოს განცხადებით დაყენებული მოთხოვნის შესახებ.

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

კომისიის წევრი: უარყოფა

• არ არის მისაღები. წარმოდგენილი მასალა არასაკმარისი, არაკომპეტენტური და ინფანტილურია. აქედან გამომდინარე მსჯელობა უსაფუძვლოა.

კომისიის წევრი: უარყოფა

• არ არის მისაღები. განაშენიანების რეგულირების დავალების მისაღებად აუცილებელია საპროექტო ტერიტორიას ჩაუტარდეს შესაბამისი დანიშნულების კვლევა, რომელიც ნათლად იქნება დასაბუთებული შესაბამისი დანიშნულების და ფუნქციის მატარებელი ობიექტების არსებობა, მათი მოცულობა, მასშტაბი და ა.შ. მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს სამართლებრივი საკითხები ტერიტორიებთან მიმართებაში, სატრანსპორტო სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურების შესაბამისი დასკვნები და შეთანხმებული სქემები. წარმოდგენილი უნდა იქნეს ანალიზი იმისა, თუ რა დატვირთვებია მოსალოდნელი ახალ წარმონაქმნებზე, რა საშუალებებით ხდება ქალაქსა და წარმონაქმნს შორის კავშირი, მათი გამტარუნარიანობა, რა აუცილებლობამ მოითხოვა ის, რომ კავშირი ქალაქთან ხდება თავისუფლებისა და ერეკლე II-ს მოედნებიდან. დასკვნა: ანალოგიური მასშტაბის პროექტები პირველ რიგში მოითხოვს იმის დასაბუთებას, თუ რამდენად საჭიროა ის არა მარტო ქალაქის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის როგორც დღესდღეისობით, ისე გარკვეული პერსპექტივით. ამავდროულად დასასაბუთებელია ის ფაქტი, რომ თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ზონაში ასეთი მასშტაბის მშენებლობა ზიანს არათუ მოიტანს არსებულის, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს მის მნიშვნელობას.

კომისიის წევრი: უარყოფა

• არ არის მისაღები. სამწუხაროდ წარმოდგენილი მასალა ამ ეტაპზე არ იძლევა სრულფასოვანი განხილვის საშუალებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი წარმოადგენს ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს ქალაქგეგმარებით გადაწყვეტას. თავისი მნიშვნელობით და მასშტაბურობით საინვესტიციო პროექტი საჭიროებს კომპეტენტურ და

პროფესიონალურ ოპონირებასა და მხარდაჭერას როგორც მინიმუმ იმისთვის, რომ საბჭომ გააგრძელოს აღნიშნული საკითხის განხილვა საჭიროა: მასალა გამდიდრდეს არსებული ფიზიკური გარემოს კვლევის შედეგებით, გეოლოგიური და ისტორიული კვლევებით, ასევე გარემოზე ზემოქმედების სავარაუდო შედეგები, არსებული და პროექტის განხორციელების შემდგომ მისაღები სატრანსპორტო სქემები. სასურველია ჩარჩო-გეგმის შექმნა მიმდებარე ტერიტორიების ჩართვითა და ამისთვის ღია კონკურსის წესით გამოვლინდეს საპროექტო ჯგუფი.

კომისიის წევრი: უარყოფა

• არ არის მისაღები. ამ ეტაპისთვის წარმოდგენილი მასშტაბით შეუძლებელია საკითხზე არსებითი მსჯელობა, შესაბამისად რაიმე სახის საექსპერტო დასკვნები (საპრეზენტაციო მასალით შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი წარმოდგენის შექმნა, თუ რა სახის შესაძლოა იყოს აღნიშნული წინადადება). დამკვეთმა უნდა წარმოადგინოს სათანადო გეგმარებითი პროექტის მომზადება, რომელიც შემდგომში საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ პროექტის პარამეტრებზე და დატვირთვებზე. ამის შემდგომ, შესაძლოა პროექტის არქიტექტურული და ზოგადად კონცეფციის ავკარგიანობაზე მსჯელობები.

კომისიის წევრი: უარყოფა

• არ არის მისაღები. წარმოდგენილი კონცეფციიდან გამომდინარე, თავისი მასშტაბურობით პროექტი პირველ ეტაპზე საჭიროებს ქალაქგეგმარებითი და ტექნიკურ–ეკონომიკური კუთხით კვლევა–დასაბუთებას, ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს ტერიტორიის სწორად შერჩევა ქალაქგეგმარებითი კუთხით შედარებითი კვლევა-ანალიზის საფუძველზე. დღეს თბილისს გააჩნია პოტენციალი ალტერნატიული ტერიტორიებისა მსგავსი პროექტების განსახორციელებლად, დასაბუთებული მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში. მოქმედბი კანონმდებლობიდან (ქ. თბილისის ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13, მუხლი #8, #9) გამომდინარე ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნით მიეცეს რეკომენდაციები წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ შემდგომი განხილვისათვის. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დასკვნით, მიეცეს რეკომენდაციები წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ შემდგომი განხილვისთვის. წარმოსადგენია კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისთვის, რომელიც უნდა მოიცავდეს; ა) პირველ ეტაპზე ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, მათ შორის საპროექტო კონცეფციის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და დაგეგმარების მიზანშეწონილობას, მოთხოვნილების აუცილებლობისა და შერჩეული ტერიტორიის უპირატესობის დასაბუთება–ანალიზს, ქალაქგეგმარებით ანალიტიკურ და სამეცნიერო მასალებს. აღნიშნული ქალაქგეგმარებითი კვლევა–დასაბუთების შედეგად, შერჩეული ტერიტორიისათვის წარმოსადგენია არსებული და პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მდგომარეობის კვლევა – ანალიზი შემდეგი შემადგენლობით: ბ) საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო სურათი არსებული მდგომარეობით და ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველ ფოტოები სხვა და სხვა მხრიდან. გ) საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური რუკა. დ) საპროექტო ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური და სეისმური მონაცემები. ე) საპროექტო ტერიტორიის ზოგადი კლიმატური (ბუნებრივი ნალექების, ქარის, მზის გამოსხივების) მონაცემები. ვ) საპროექტო ტერიტორიის არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები. ზ) საპროექტო ტერიტორიის ისტორიული კვლევა. თ) საპროექტო ტერიტორიის ეკოლოგიური და გამწვანების მონაცემები. ი) საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საინჟინრო ინფრასტრუქტურა. კ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ძირითადი გამჭოლი გზებისა და ქუჩების ქსელი, ასევე ტრანსპორტის–ანგარიშები. ლ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მონაცემები. აღნიშნული მასალის წარმოდგენის შემდგომ, საბჭოს მიეცემა საშუალება იმსჯელოს განცხადებით დაყენებული მოთხოვნის შესახებ.

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

კომისიის წევრი: უარყოფა

• არ არის მისაღები. არ არის წარმოდგენილი გრგ-ს დავალების გასაცემად საჭირო დოკუმენტაცია კერძოდ, უნდა მომზადდეს და კომისიას წარედგინოს არსებული სიტუაციის ამსახველი კვლევები. • ორთოფოტო. • ტოპოგეოდეზიური რუკა. • ისტორიული კვლევა. • გამწვანების მონაცემები. • არსებული გზები და საინჟინრო ინფრასტრუქტურა. • კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დასკვნები. ასევე უნდა დამუშავდეს დასკვნა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

პროექტის განხორციელების შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე მოსალოდნელი გავლენების შესახებ, ეკოლოგიის მდგომარეობის, ტრანსპორტის და სხვა მიმართულებები. იქიდან გამომდინარე, რომ ხორციელდება მასშტაბური პროექტი, ასევე მიზანშეწონილია კომისიას სამსჯელოდ წარედგინოს ამ პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები, ადგილმდებარეობა იმისთვის, რომ შეირჩეს ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის ამგვარი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "უარყოფითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 10.04.2014

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

უარი ეთქვას ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ, მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემაზე. განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად. რეკომენდაცია: წარმოდგენილი კონცეფციიდან გამომდინარე, თავისი მასშტაბურობით პროექტი პირველ ეტაპზე საჭიროებს ქალაქგეგმარებითი და ტექნიკურ–ეკონომიკური კუთხით კვლევა–დასაბუთებას, ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს ტერიტორიის სწორად შერჩევა ქალაქგეგმარებითი კუთხით შედარებითი კვლევა-ანალიზის საფუძველზე. დღეს თბილისს გააჩნია პოტენციალი ალტერნატიული ტერიტორიებისა მსგავსი პროექტების განსახორციელებლად დასაბუთებული მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში. მაგალითად: 1. რკინიგზის გადატანით ქალაქის ცენტრში გამონთავისუფლდება დაახლოებით 80 ჰექტარი ტერიტორია, რაც იძლევა ახალი სიტი–ს, სასტუმრო კომპლექსისა და ბიზნესცენტრის დაგეგმარების საშუალებას ჯანსაღი ინფრასტრუქტურით, რომელიც უმტკივნეულოდ გახდება ქალაქის ორგანიზმის სრულყოფილი ნაწილი და სტიმულს მისცემს მიმდებარე ტერიტორიების განვითარებას. 2. ასევე შესაძლებელია შეირჩეს ჩუღურეთის რაიონში ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე (არსენალის მთა) ფერდობზე არსებული ყოფილი არსენალის ტერიტორია ანალოგიური იდეის „პანორამული ხედებით თბილისზე" განხორციელება, საიდანაც საინტერესო ხედები იხსნება ისტორიული თბილისის პანორამით. გარდა ამ უპირატესობისა, აღნიშნულ ტერიტორიას გააჩნია პერსპექტივა შემდგომი განვითარებისა თბილისის ზღვის მხარეს ბუნებრივი სარეკრეაციო სივრცისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. არანაკლებ საინტერესოა ამ მიმართულებით თბილისის ზღვის მიმდებარედ უკვე აქტიურად განვითარებადი სარეკრეაციო სივრცე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და დღეს მოქმედი კანონმდებლობიდან (ქ. თბილისის ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13, მუხლი #8, #9) გამომდინარე ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნით მიეცეს რეკომენდაციები წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ შემდგომი განხილვისათვის. წარმოსადგენია კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის, რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) პირველ ეტაპზე ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, მათ შორის საპროექტო კონცეფციის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და დაგეგმარების მიზანშეწონილობას, მოთხოვნილების აუცილებლობისა და შერჩეული ტერიტორიის უპირატესობის დასაბუთება–ანალიზს ქალაქგეგმარებით ანალიტიკურ და სამეცნიერო მასალებს. აღნიშნული ქალაქგეგმარებითი კვლევა–დასაბუთების შედეგად, შერჩეული ტერიტორიისათვის წარმოსადგენია არსებული და პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული მდგომარეობის კვლევა – ანალიზი შემდეგი შემადგენლობით: ბ) საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო სურათი არსებული მდგომარეობით და ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველ ფოტოები სხვა და სხვა მხრიდან. გ) საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური რუკა. დ) საპროექტო ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური და სეისმური მონაცემები. ე) საპროექტო ტერიტორიის ზოგადი კლიმატური (ბუნებრივი ნალექების, ქარის, მზის გამოსხივების) მონაცემები. ვ) საპროექტო ტერიტორიის არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები. ზ) საპროექტო ტერიტორიის ისტორიული კვლევა. თ) საპროექტო ტერიტორიის ეკოლოგიური და გამწვანების მონაცემები. ი) საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ საინჟინრო ინფრასტრუქტურა და მოსალოდნელი ცვლილებები ქალაქის ქსელებზე დატვირთვის გაზრდასთან დაკავშირებით. კ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ძირითადი გამჭოლი გზებისა და ქუჩების ქსელი, ტრანსპორტის ანგარიშები და მოსალოდნელი დატვირთვები ქალაქთან დამაკავშირებელ სატრანსპორტო არტერიებზე და კვანძებზე. ლ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მონაცემები. აღნიშნული მასალის წარმოდგენის შემდგომ, საბჭოს მიეცემა საშუალება იმსჯელოს განცხადებით დაყენებული მოთხოვნის შესახებ. ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის #14 ოქმის თან ერთვის ელექტრონული მასალა.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1232543

ნომერი: AR1207489

თარიღი : 27.03.2014

გაცემის თარიღი : 22.04.2014

გაცნობის თარიღი : 23.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ, (ნაკვ.7/3) ; ქალაქი თბილისი , თბილისიდან კოჯრისაკენ მიმავალი , გზის მიმდებარედ (ნაკვ. 05/001) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , (ნაკვ. 07/010) ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 6 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 4 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 2 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N2 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N3 / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი , გზატკეცილი N1 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004)/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 05/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხვია დვალი პ/ნ 38001004585

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

## გადაწყვეტილება

თქვენი AR1207489 (27.03.2014) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადებას, გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2014 წლის 7 აპრილის #14 სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქ. თბილისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის საკითხს ეთქვა უარი, თუმცა გაეწია რეკომენდაცია მის განმეორებით განხილვას. კერძოდ:

იმ შემთხვევაში თუ ახალი განაცხადით წარმოდგენილი იქნება კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია (იხ. დანართი ოქმის სახით) და შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, სამსახური განმეორებით გადააგზავნის საკითხს ზემოაღნიშნულ კომისიაზე განსახილველად.

p.s. განაცხადს თან ერთვის საჯარო განხილვის ოქმი, ასევე არსებობს მისის ვიდეო ფაილი და სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ გამოითხოვოთ CD დისკის სახით.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge